პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 250 (19092) შაბათი, 30 ოქტომბერი, 1984 წელი ფასი 3 კაპ.

საბჭოთა კავშირის მშრომელებო! აქტიურად მიიღეთ მონაწილეობა შრომისა და წარმოების ორგანიზაციის სრულყოფაში!

დამკვრელური, პატრიოტული შრომით განამტკიცეთ ჩვენი სამშობლოს ეკონომიკური და თავდაცვითი ძლიერება!

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მოწოდებიდან.

ჭირნახული უკლებლივ დავაბინაოთ

აცივდა. მთებში მოთოვა კიდეც. ჭირნახული კი ჯერ კიდევ მინდვრად, ბაღ-ვენახებშია. წარმოდგენაც კი ძნელია იმისა, რომ მთელი წლის განმავლობაში დღენიადაგ მინდვრად დიდი ჯაფის ფასად მოყვანილ ჭირნახულს მიწათმოქმედს რამდენიმე წუთში სტიქია ხელიდან გამოსტაცებს. ეს განსაცდელი ამ შემოდგომაზე თავს დაატყდათ ახმეტელ, საგარეჯოელ, გორელ და სხვა რაიონების მხვნელ-მთესველებს — სტიქიამ მათ დიდძალი ჭირნახული გაუნადგურა.

ამ გარემოებამ ერთხელ კიდევ დაგვარწმუნა იმაში, რომ საჭირნახულო ლაშქრობის ამ დამამთავრებელ ეტაპზე მიწათმოქმედისათვის ყველაზე მთავარი საზრუნავია მოსავლის დროულად და უდანაკარგოდ დაბინავება.

სტიქია რომ არ იყოს, შემოსული ჭირნახულის აღების დაგვიანება სხვა ბევრ რისკთანაც არის დაკავშირებული. ამდენად, აგროსამრეწველო კომპლექსის მუშაკებს მომხმარებლამდე სოფლის მეურნეობის პროდუქციის მიტანის ჯაჭვის არც ერთ რგოლში ყურადღების მოდუნების, შეცდომის დაშვების უფლება არა აქვთ.

ამ პასუხისმგებლობაზე, მომჭირნეობისათვის ბრძოლაზე ამას წინათ სახალხო კონტროლიორთა თათბირზე გამოსვლაში ყურადღება გაამახვილა ამხანაგმა კ. უ. ჩერნენკომ და აღნიშნა, რომ მძიმე შრომის ფასად გვიჯდება მოსავალი, და არავითარი გამართლება არ უნდა ჰქონდეს იმას, ვინც უშვებს თუნდაც მცირე დანაკარგებს მოსავლის აღების, გადაზიდვის, შენახვის დროს.

დღეს, როდესაც ჩვენი პარტიის, მთელი საბჭოთა ხალხის ყურადღების ცენტრშია მასალები სკკპ ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის პლენუმისა, რომელმაც განიხილა ქვეყნის უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური პრობლემები, სასურსათო ფონდის სტაბილური ზრდის მიზნით მელიორირებული მიწების გამოყენების ეფექტიანობის ამაღლების საკითხები, კიდევ უფრო იზრდება მოთხოვნა აგროსამრეწველო კომპლექსის მუშაკებისადმი.

ეს მოთხოვნა პირნათლად შეასრულეს რესპუბლიკის მეჩაიეებმა, რომლებმაც წლეულს რეკორდულ მიჯნას მიაღწიეს — 575 ათასი ტონა ხარისხოვანი ფოთოლი მოკრიფეს და მრეწველობას ჩააბარეს. ეს დიდი წარმატება, როგორც ჩვენმა სახელოვანმა მეჩაიემ თამარ ყუფუნიამ თქვა, მოპოვებულია ყველაზე ცუდ კლიმატურ პირობებში, როცა განუწყვეტლივ წვიმდა და ხშირად [illegible].

თავდაუზოგავი გარჯით, ვაზისადმი ერთგულებით კვლავ დიდი რთველი დაიწყეს წითელწყაროელმა, ყვარლელმა, საგარეჯოელმა, ლაგოდეხელმა, ახმეტელმა, ბოლნისელმა, თერჯოლელმა მევენახეებმა. მათ ყურძნის დამზადების გეგმები დიდი გადამეტებით შეასრულეს. რთველში სამაგალითო დარაზმულობა, ორგანიზებული შრომის ნიმუში გვიჩვენეს წითელწყაროს რაიონის ზემო ქედის კოლმეურნეობის (თავმჯდომარე — სოციალისტური შრომის გმირი არსენ კობაიძე) მშრომელებმა და მათმა უმცროსმა თანაშემწეებმა — სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტუდენტებმა. მათ სახელმწიფო მარანში 13 ათასი ტონა ყურძენი მიიტანეს, იმაზე მეტი, რასაც ვალდებულება ითვალისწინებდა.

მაგრამ ყველგან ერთნაირად როდი ზრუნავენ ჭირნახულის სათანადო დაბინავებისათვის. ყვარლის რაიონის ენისელის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობაში (დირექტორი ს. ქარუნაშვილი) თვეზე მეტ ხანს გააჭიანურეს რთველი და საგეგმოს ნახევარი მოსავალიც ვერ მიიღეს.

ზოგან ჯერაც ვერ შეუგნიათ, რომ ჭირნახულის მოყვანა ამოცანის მხოლოდ პირველი ნაწილია, რომ მომხმარებლამდე სოფლის მეურნეობის პროდუქციის მიტანას შეუნელებელი ყურადღება სჭირდება. ეს მხედველობიდან გამორჩათ მარნეულის რაიონის აგროსამრეწველო გაერთიანებაში, საიდანაც მომხმარებლისათვის გაგზავნილი დიდძალი კომბოსტო და კარტოფილი გაფუჭებული აღმოჩნდა. ბევრი სასაქონლო ღირებულებადაკარგული საადრეო კომბოსტო გააგზავნეს საკავშირო ფონდში გარდაბნის და აბაშის რაიონების მეურნეობებმა. მოსავლის გაფუჭების მიზეზი უმთავრესად არის ტარის უხარისხოდ შეკეთება, გადაურჩეველი, სველი პროდუქციის დატვირთვა.

თქმა არ უნდა, იმისათვის, რომ დროულად და საიმედოდ დააბინაო მოსავალი, მიწათმოქმედს გამართული ტექნიკა სჭირდება, მით უმეტეს ახლა, როცა შემოდგომა ძალზე ცოტა დარიან ამინდებს გვპირდება. ვანის რაიონსა და ტყიბულის ზონაში კი ოქტომბრის დამდეგისათვის სილოსის და საკვების ასაღები მანქანების 23-28 პროცენტი შეუკეთებელი იყო, მაშინ, როცა ამ რაიონებს უხეში საკვების დამზადების გეგმები ჯერ არ შეუსრულებიათ. მეტისმეტად აყოვნებენ სილოსის დამზადებას ყვარლის, გურჯაანის და სხვა რაიონების მეურნეობები. მართალია, ახლა ათასი საქმეა სოფლად და ზოგ უბანს ყურადღება აკლდება, მაგრამ შემოდგომით არც ერთ საქმეს არ ელოდება. ჭირნახულის დაბინავების კონვეიერი ისე უნდა ვამუშაოთ, ადამიანთა შრომა ისე უნდა წარვმართოთ, რომ შეფერხება არსად გვქონდეს. ამიტომ სოფლის კომუნისტებმა, მეურნეობათა ხელმძღვანელებმა მხედველობიდან არ უნდა გამორჩეთ დღეს ვინ არის მოწინავე და ვისი მაგალითია მისაბაძი; ვინ არ ასრულებს დღის დავალებას, ამა თუ იმ ავტომანქანის მძღოლმა რატომ დააგვიანა დანიშნულების ადგილზე მოსავლის მიტანა.

პარტიულმა, პროფკავშირულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა ქმედითი ღონისძიებები უნდა განახორციელონ შეჯიბრების მოწინავეთა მორალური და მატერიალური წახალისებისათვის, შრომითი აქტიურობის ამაღლებისათვის.

ჭირნახულის დაბინავების პერიოდი სოფლის მშრომელთა მკაცრი გამოცდაა, რადგან ამ დროს ვლინდება ხელმძღვანელთა პირადი თვისებები, მიწათმოქმედთა იდეური რწმენა და პროფესიული ოსტატობა, მზადყოფნა დაეხმარო ამხანაგს, შეურიგებლობა უპასუხისმგებლობისა და გულგრილობისადმი.

თადარიგიანი მეურნის ეს თვისებები მთელი სისრულით იქ ვლინდება, სადაც გულთან ახლოს მიაქვთ მინდვრად და ბაღ-ვენახში გასულ ადამიანთა შრომისა და დასვენების პირობებისათვის ზრუნვა. ამ მხრივ წლეულს სამაგალითოდ აქვთ საქმე მცხეთის რაიონში, სადაც მოსავლის აღების მონაწილეებს საშუალება აქვთ უშუალოდ მინდორსა და ბაღ-ვენახში ისადილონ და დაისვენონ კიდეც.

ახლა, როცა რესპუბლიკაში რთველია გაჩაღებული და მოსავალს იღებენ მემინდვრეები, მეხილეები, მეჭარხლეები, მეკარტოფილეები და მებოსტნეები, თითოეული საათი ძვირად ფასობს. შემოდგომის ამ ცხარე დღეებში საქმის ხანგრძლივ გადადებას ცოტა ზარალი როდი მოსდევს. ამ პირობებში მოწეული ჭირნახულის შენარჩუნება დამოკიდებულია ორგანიზებულობაზე, იმის უნარზე, რომ ბუნების ჭირვეულობას დაუპირისპირო ცოდნა და გამოცდილება, ეფექტიანად გამოიყენო ტექნიკა.

რედაქციაში მოსული წერილები მოწმობს, რომ მოსავალს უდანაკარგოდ იღებენ იქ, სადაც პარტიული კომიტეტები, აგროსამრეწველო გაერთიანებები ახერხებენ კარგად შეუხამონ ერთმანეთს მიწათმოქმედთა და მათ პარტნიორთა მუშაობა, ნერგავენ სამეურნეო ანგარიშს, ბრიგადულ იჯარას, შრომით კოლექტივებს ორიენტირად უსახავენ ოპტიმალურ საბოლოო შედეგს. სწორედ ახლაა საჭირო აგროსამრეწველო გაერთიანებებმა მომსახურე ორგანიზაციების ინტერესები კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ინტერესებს დაუქვემდებარონ. უმისოდ ჭირნახულის დაბინავების კონვეიერი გამართულად ვერ იმუშავებს, განსაკუთრებით საყურადღებო და მისაბაძი ისეთი მაგალითები, როცა გაერთიანებები თვითონ კისრულობენ ტექნოლოგიური კომპლექსის ყველა რგოლის კონტროლს; მინდვრიდან, ბაღ-ვენახიდან მოსავალი ცენტრალიზებულად გააქვთ, როცა უშუალოდ მეურნეობებში დამამზადებლები იბარებენ ბოსტნეულს, კარტოფილს, ხილს. ამის შედეგად მცირდება დანაკარგები, ჩქარდება ზამთრისათვის მოსავლის დაბინავება.

საქმისადმი ამგვარი მიდგომა დაგვეხმარება დროულად და უდანაკარგოდ ავიღოთ, დავაბინაოთ, რაც მიწამ მოგვცა. ამას მოითხოვს ჩვენგან სკკპ ცენტრალური კომიტეტის მოწოდებანი:

სოფლის მეურნეობის, დამამზადებელი, სატრანსპორტო, გადამამუშავებელი და სავაჭრო საწარმოთა მუშაკებო! არ დაუშვათ სოფლის მეურნეობის პროდუქციის დანაკარგები.

ყველაფერი, რაც მოყვანილია, შევინარჩუნოთ და

შენ ღირსი ხარ ამ ბედნიერებისა, თბილისო!

სადღესასწაულო რეპორტაჟი „თბილისობა — 84"-დან

კარგად ცნობილმა და მიუხედავად ამისა, ჩვენთვის თითქოს ახალმა დღესასწაულმა „თბილისობამ", რომელსაც დიდი ხანია ველოდით, კვლავ შემოაბიჯა საბჭოთა საქართველოს დედაქალაქში. მასთან დაკავშირებულ ბევრ სიურპრიზთან და სასწაულთან ერთად კიდევ ერთხელ ვწვდებით ძველ ჭეშმარიტებას: რაოდენ სწრაფად გადის დრო და რაოდენ ბევრ რამეს ცვლის ჩვენ ირგვლივ და ჩვენში! თითქოს გუშინ იყო 1979 წლის 28 ოქტომბერი, მეგობრობისა და ძმობის საქალაქო დღესასწაულის დაბადების დღე, ძველი თბილისური ტრადიციის აღორძინების დღე, რომელსაც ადამიანებმა ახალი შინაარსი შესძინეს და თანამედროვეობის სამსახურში ჩააყენეს. ახლა კი კალენდარზე 1984 წლის 28 ოქტომბერია და უკვე მეექვსედ ვდღესასწაულობთ ამ დღეს, რომელიც, დროის მიუხედავად, ახალგაზრდა და, როგორც ყოველთვის, სასურველია.

თბილისელებთან და რესპუბლიკის დედაქალაქის სტუმრებთან ერთად დღესასწაულში მონაწილეობდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ე. ა. შევარდნაძე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ნ. მენთეშაშვილი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრები და წევრობის კანდიდატები — ვ. მ. არხიპოვი, გ. დ. გაბუნია, პ. გ. გილაშვილი, გ. ნ. ენუქიძე, ბ. ვ. ნიკოლსკი, ჯ. ი. პატიაშვილი, ტ. ვ. როსტიაშვილი, დ. ლ. ქართველიშვილი, ო. ე. ჩერქეზია, ს. ე. ხაბეიშვილი, ბ. ვ. ადლეიბა, თ. ი. მოსიაშვილი, ვ. რ. პაპუნიძე, ფ. ს. სანაკოევი, ქ. ქ. შარტავა.

ბევრი რამ აქვს საზეიმო ქალაქს ოქტომბრის ამ უკანასკნელ კვირას, ბევრი რამ აქვს საზეიმო რესპუბლიკას. ხუთწლედის მეოთხე წლის თვალსაჩინო მიღწევათა სტატისტიკა ცნობილია და გამეორებას არ საჭიროებს. მაგრამ ციფრების სვეტებში ჩანს ისეთი ტენდენციები, რომლებიც იმსახურებს, რომ ვახსენოთ, და იმასაც, რომ გავაანალიზოთ.

„თბილისობა" ტრადიციისამებრ დაიწყო ლენინის სახელობის მოედანზე ბელადის ძეგლის გვირგვინებით შემკობის ცერემონიით. რესპუბლიკისა და მისი დედაქალაქის მშრომელებმა პატივი მიაგეს ჩვენი პარტიისა და სახელმწიფოს დამაარსებელს, რომლის გენიით გაცისკროვნებულია საბჭოეთის, რესპუბლიკის, მისი დედაქალაქის ყველა მიღწევა.

ასე დაიწყო „თბილისობა — 84"...

დიდება შრომას! დიდება ოსტატებს!

დიახ, ყოველ წელს – რესპუბლიკის ყველაზე სახელოვან ოსტატთა ამ რიგში იყოს წარმოდგენილი თუნდაც ერთი მსოფლიო ჩემპიონი! — თქვა მიკროფონში მაია ჩიბურდანიძემ და მის სიტყვებს ტაშის გრიალით გამოეხმაურა ასობით ადამიანი, რომლებმაც შეავსეს მოედანი საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის მთავარი პავილიონის წინ.

სამგზის მსოფლიო ჩემპიონი იდგა ამ რიგში, ერთ რიგში ადამიანებთან, რომელთაგან თითოეულმა თავის საქმეში საკავშირო და მსოფლიო მწვერვალს მიაღწია. აქ იყვნენ ნოვატორი მუშები, რეკორდული მოსავლის ოსტატები, წარმოების მეთაურები, მეცნიერები, მხატვრები, მწერლები, ჟურნალისტები — რესპუბლიკისა და მისი დედაქალაქის სიამაყე. ისინი, ვის სახელსაც და ოსტატობასაც ქვეყანაში და მის ფარგლებს გარეთ ჩვენს ქალაქს უკავშირებენ.

— უთბილისოდ არ არის საქართველო, უსაქართველოდ არ არის თბილისი. თბილისი რესპუბლიკის გულია პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით, იგი ცოცხლობს, ხარობს, იმარჯვებს იმ არტერიების მეოხებით, რომლებიც აკავშირებენ მას ჩვენი მიწა-წყლის თითოეულ მტკაველთან, — თქვა მწერალმა ვახტანგ ჭელიძემ.

იმათ პატივსაცემად აღმართული რესპუბლიკის სახელმწიფო დროშა, ვინც შრომაში საუკეთესო მაჩვენებლებს მიაღწია, აფრიალდა, როგორც სამშობლოს უმაღლესი ინტერესებისადმი ოსტატთა სამსახურის შთამბეჭდავი სიმბოლო.

ისინი იდგნენ ერთ რიგში, მშენებელი ვაჟა დესპოტაშვილი, მეჩაიე ზოია წითლიძე, მუშები ვასილ გეგეშიძე, სერგო მინდორაშვილი, საწარმოო ბრიგადების ხელმძღვანელები სიმონ კონტრიძე, ნუგზარ გოგოლაშვილი, მეხილე სოფიკო ჭიაურელი — სახელოვანი კოლექტივების შესანიშნავი წარმომადგენლები, რომელთა პატივსაცემად შესრულდა სსრ კავშირისა და ჩვენი რესპუბლიკის ჰიმნები. და როცა ისინი მადლობას იხდიდნენ მათი შრომის მაღალი შეფასებისათვის, უნებლიეთ გავიფიქრეთ: არ შეიძლება, რომ თბილისმა და ქართულმა მიწამ, სადაც მუდამ იბადებოდნენ შემოქმედნი, კვლავ და კვლავ არ მისცეს ქვეყანას თავისი საქმის ჩინებული ოსტატები.

წლევანდელ „თბილისობაზე" მათ განსაკუთრებული გულითადობით მიაგებდნენ პატივს.

„შენ ხარ ვენახი, სამშობლოვ ჩემო"

— ჩვენ, კახეთის მევენახეები, თქვენ, ჩვენს თანაშემწეებს, ჩვენთან ერთად რომ აიღეთ ყურძნის უხვი მოსავალი, „თბილისობაზე" ძღვნად გადმოგცემთ „რქაწითელის" ნერგებს. ახარეთ ისინი თბილისის მიწაზე, გაზარდეთ, მოუარეთ და იგი ასმაგად გადაგიხდით ამაგს...

სიტყვას წარმოთქვამს სახელოვანი მიწათმოქმედი, სოციალისტური შრომის გმირი არსენ კობაიძე, გულში სათუთად რომ ჩაუკრავს ნერგების კონა. მის წინ კი მწყობრ რიგებად ჩამწკრივებულან რთველი-84-ის ახალგაზრდა გმირები — თბილისის უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტები. და როცა კაცი, რომელთან ერთადაც იზიარებდნენ წლევანდელი რთვლის მთელ სიძნელეებს, გულით წარმოთქმულ სიტყვას ამთავრებს, ასევე სათუთად ართმევენ მას ძღვენს. თრიალეთის ქედის განტოტების ფერდობზე ეყრება საძირკველი მომავალ ვენახს.

ეს ამაღელვებელი ცერემონია გაიმართა საქართველოს ხალხური ხუროთმოძღვრებისა და ყოფის სახელმწიფო მუზეუმში. ცერემონიის მშვენიერ ფონს უქმნიდა ჩვენი სამშობლოს ყოველი კუთხიდან ჩამოტანილი სახლების კედლები და სახურავები, ხალხურ ოსტატთა ხელთქმნილი საოცრებანი და მრავალხმიანი ხალხური სიმღერის ჰანგები. მთის ფერდობზე შეკრილი ამფითეატრი სულგანაბული უსმენდა მომღერლებს, ხალხურ მთქმელებს, მესტვირეებს, [illegible] ტაშით აჯილდოებდა ნორჩ მოცეკვავეებს. „ვერაფერი ვერ მძლევდა, ვერაფერი ვერ დამატყვევებდა, თუ არა შენ, სამშობლოს სიყვარულო, თუ არა შენ, ჩემო კაცური სინდისო" — 78 წლის ხალხური მთქმელის ზაქრო ფილაურის ლექსის ეს სიტყვები ორგანულად ეხმიანებოდა რვაასწლოვანი ქორალის „შენ ხარ ვენახის" სიტყვებსა და მელოდიას.

შემოდგომის მზემ ოქროსფრად შეაფერადა გარემო, გააცისკროვნა ხალხური შემოქმედების მარგალიტები.

ჩვენი ცხოვრების მხატვრები

„აქ ნახავ მთელ ტფილისს!" — წერდა მე-19 საუკუნის მოგზაური ციხის მეიდნისა და მისი მახლობელი უბნების შესახებ.

ამ დღეს მთელი თბილისი სულითა და გულით მიილტვოდა ამ ადგილებისაკენ, უმთავრესად ქალაქის რესტავრირებული აბანოებისა და კოლორიტული აივნების ესტრადებით დამშვენებული საცხოვრებელი სახლების უბნისაკენ, სახლებისა, რომლებსაც თბილისის თერმების გუმბათებისა და თაბორის მთისაკენ უქნიათ პირი.

აქ დღის პირველ საათზე გაიმართა თბილისის ახალ საპატიო მოქალაქეთა სახელების გამოცხადებისა და მათთვის საპატიო ნიშნებისა და დიპლომების გადაცემის ცერემონია.

სიტყვას ამბობს საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი გ. დ. გაბუნია.

— ოქტომბრის ამ ბოლო კვირას, — თქვა მან, — უკვე მეექვსედ გაიმართა სახელოვან ტრადიციად ქცეული „თბილისობა". გვეწვია შრომის საყოველთაო დღესასწაული, ნათელი იდეალების ერთგულების, ინტერნაციონალური ქალაქის მცხოვრებთა ერთიანობის, ბარაქიანი ოქროს შემოდგომის დღესასწაული. გილოცავთ „თბილისობას", ძვირფასო თანამოქალაქენო!

გულით ხარობს და ზეიმობს ჩვენი დედაქალაქი: ამჯერადაც დღესასწაულის საპატიო უფლება მოპოვებულია ყოველდღიური საქმეებით, ძლევამოსილი შრომით.

და დღეს „თბილისობის" საპატიო, სასურველ სტუმართა შორის არიან მზიური აფხაზეთისა და აჭარის, განახლებული სამხრეთ ოსეთის, ჩვენი რესპუბლიკის ყველა რეგიონის წარმომადგენლები. ისინი დედაქალაქს უძღვნიან თავიანთ მნიშვნელოვან შრომით საჩუქრებს, აბარებენ უხვი მოსავლით.

(დასასრული მე-2 გვ.).

ხურათზე: დღესასწაული აბანოთუბანში.

ხ. კილაძის ფოტო.

საოქტომბრო ვახტზეა რესპუბლიკა

ამიერკავკასიის რკინიგზელები კვლავ პირველობენ

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 67 წლისთავის ღირსეული შეხვედრისათვის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში მორიგ წარმატებას მიაღწია ამიერკავკასიის რკინიგზის კოლექტივმა. ვადამდე შესრულდა მიმდინარე წლის ათი თვის სახელმწიფო გეგმა. ოქტომბრის დამლევამდე მომხმარებელს გეგმის გადამეტებით ნახევარ მილიონ ტონაზე მეტი ტვირთი გაეგზავნება, სოციალისტური ვალდებულება კი 300 ათას ტონას ითვალისწინებდა.

აღსანიშნავია, რომ ვაგონთა ბრუნვა ნორმასთან შედარებით დაჩქარდა 0,72 საათით, რაც შარშანდელთან შედარებით 5,28 საათით მეტია. რაც შეეხება სტატისტიკურ დატვირთვას, მისი დავალება გადაჭარბებულია 1,4 პროცენტით. თითოეულ ვაგონში ნავარაუდევზე 710 კილოგრამით მეტი საქონელი დაიტვირთა. რეზერვების ასეთი გამოყენების შედეგად რკინიგზელებმა დამატებით დატვირთვისათვის 57787 ვაგონი გამოათავისუფლეს.

მნიშვნელოვნად გადაჭარბებით შესრულდა ლოკომოტივების მწარმოებლობის ზრდასთან დაკავშირებული დავალება. ერთი სიტყვით, პრაქტიკულად, წარმატებები მოპოვებულია ყველა ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების მიხედვით.

მრავლდება მძიმეწონიან მატარებელთა რიცხვი. 10570 მძიმეწონიანი შემადგენლობით დავალების დამატებით მემანქანეებმა 4409 ათასი ტონა ტვირთი გადაზიდეს. ეს კი შარშანდელ შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელს 2121,4 ტონით ჭარბობს. მიღწევებია მოპოვებული მომჭირნეობისათვისაც გაჩაღებულ ბრძოლაში. დაიზოგა 7,7 მილიონი კილოვატ-საათი ელექტროენერგია და 3290 ტონა თხევადი სათბობი.

(„კომუნისტის" კორ.).

დაზოგილია დიდძალი სახსრები

ტყიბული. (საკ. კორ.). ქვანახშირის ცენტრალური გამამდიდრებელი ფაბრიკის (დირექტორი — ი. გოგბერიაშვილი) კოლექტივი წარმატებით ასრულებს დიდი ოქტომბრის 67-ე წლისთავისათვის ნაკისრ ვალდებულებებს. საკოქსე კონცენტრატის გამოშვების იანვარ-ოქტომბრის სახელმწიფო გეგმა ვადაზე 17 დღით ადრე შესრულდა, მოწინავე საწარმომ, თავის ძირითად მომხმარებელს — რუსთავის მეტალურგიულ ქარხანას — გეგმის გადამეტებით გაუგზავნა 5 ათასი ტონა ნედლეული.

თითოეული მუშის შრომის ნაყოფიერება გეგმასთან შედარებით, 9,5 პროცენტით გაიზარდა, ხოლო ტონა საკოქსე კონცენტრატი 31 კაპიკით გაიაფდა და მარტო ამ გზით 76000 მანეთი დაიზოგა.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ფაბრიკის იმ ცვლების მუშაობა, რომლებსაც ინჟინერი ა. ჭიქაბერიძე, სამთო ტექნიკოსები გ. აბესაძე და ა. გვენეტაძე უდგანან სათავეში. ყველა ისინი საკოქსე კონცენტრატს ნოემბრის ანგარიშში იძლევიან.

საერთო წარმატებაში წვლილი შეიტანეს გამამდიდრებელ რაციონალიზატორებმაც. მათ მიერ დანერგილი 17 რაციონალიზატორული წინადადებით ფაბრიკამ 27500 მანეთი დაზოგა.

ფილები ნარჩენებისაგან

გულრიფში. (საკ. კორ.). დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 67-ე წლისთავისადმი მიძღვნილ სოციალისტურ შეჯიბრებაში ბაბუშარის ხის დამმუშავებელი კომბინატი (დირექტორი — ლ. წურწუმია) ახალ წარმატებებს აღწევს. საწარმომ ამ თვეში გამოუშვა ასიათასობით მანეთის სასაქონლო პროდუქცია, რაც დავალებას მნიშვნელოვნად აღემატება.

კომბინატი სულ უფრო ფართოვდება და კეთილმოწყობილი ხდება. ამას წინათ ამუშავდა მძლავრი სამამულო ტექნიკით აღჭურვილი საპარკეტო საამქრო, რომელიც წელიწადში 200 ათას კვადრატულ მეტრ მზა პროდუქციას მისწოდებს სახალხო მეურნეობას. პარკეტის პირველი პარტია უკვე მიიღო № 6 საერთო-სამშენებლო ტრესტმა. კომბინატის ნარჩენების მთლიანად გამოყენების მიზნით მოკლე ხანში დაინერგება და მომხმარებელი მიიღებს ახალ პროდუქციას — მერქან-ბურბუშელის ფილებს.

შრომის დამკვრელები — შეჯიბრების სათავეში

სამტრედია. (საკ. კორ.). ლითონის კომბინატის (დირექტორი თ. კვაბიძე) კოლექტივმა უკანასკნელ 9 თვეში 1.806 ათასი მანეთის პროდუქცია გამოუშვა, დავალება კი 1639 ათასი მანეთის ითვალისწინებდა. რეალიზაციის დავალება 112 პროცენტით შესრულდა, ხოლო პროდუქციის თვითღირებულება 3,6 პროცენტით შემცირდა, შრომის ნაყოფიერება ორი პროცენტით გადიდდა.

მომჭირნეობის რეჟიმის მტკიცედ დაცვის შედეგად მიღებულია 69 ათას მანეთზე მეტი ზეგეგმითი მოგება. კომბინატელებმა გადაწყვიტეს წლიური დავალება 25 დეკემბრისათვის შეასრულონ. საამისოდ ფართოდ გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება. პირველობენ ლ. ნაცვლიშვილი, თ. ჭყუასელი, მ. სუსელინი, ხ. ბარაბაძე და სხვები.

ვინ მოიპოვებს „კომუნისტის" გარდამავალ დროშას

წარჩინებული მევენახე

ამბროლაური. (საკ. კორ.). ხიდიკარის კოლმეურნეობაში წარჩინებული მევენახე ერთი და ორი როდია, მაგრამ ლენინის ორდენოსან იამზე საგანელიძეს მაინც ვერავინ შეედრება. იგი წლების მანძილზე ბრიგადას უდგას სათავეში და ყოველთვის თვალსაჩინო წარმატებებს აღწევს. ბრიგადას მოსავლელად მიჩენილი აქვს 13 ჰექტარი ვენახი. წლეულს მისმა წევრებმა შემართებით იშრომეს, აქტიურად ჩაებნენ გაზეთ „კომუნისტის" რედაქციის მიერ დაწესებული გარდამავალი წითელი დროშისათვის გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში.

ბრიგადას გეგმით 65,5 ტონა ყურძენი უნდა მოეწია, ფაქტობრივად 70,8 ტონა ყურძენი მიჰყიდა სახელმწიფოს და დავალებას 8 პროცენტით გადააჭარბა.

შეჯიბრების მოწინავე მევენახეები რთვლის დამთავრებისთანავე 30 ზვარში სამემოდგომო სამუშაოებს შეუდგნენ, მომავალი წლის მოსავალს აქედანვე მყარ საფუძველს უქმნიან.

ხალხის გარჯის ნაყოფი

საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ცნობა

1984 წლის ცხრა თვეში საქართველოს სსრ მრეწველობის მიერ სახელმწიფო გეგმის შესრულების შედეგები

მთლიანად მრეწველობაში პროდუქციის რეალიზაციის გეგმა შეასრულეს ავტონომიურმა რესპუბლიკებმა და ავტონომიურმა ოლქმა, მეტმა წილმა საკავშირო დაქვემდებარების სამინისტროებმა, უწყებებმა და საწარმოებმა. პროდუქციის წარმოების მატებამ გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 6,1 პროცენტი შეადგინა, გადაჭარბებით შესრულდა ბევრ უმნიშვნელოვანეს სახეობათა ნაწარმის გამოშვების დავალებანი.

შრომის ნაყოფიერება 4,9 პროცენტით გაიზარდა; ამის შედეგად მიღებულია წარმოების მატების 80 პროცენტი. უზრუნველყოფილია საშუალო ხელფასთან შედარებით შრომის ნაყოფიერების უპირატესი ზრდა.

თვითღირებულების ზეგეგმითი შემცირების შედეგად მიღებულმა ეკონომიამ 0,57 პროცენტი შეადგინა. გაიზარდა მოგება.

მეტი წილი საკავშირო დაქვემდებარების სამინისტროები, უწყებები და საწარმოები ასრულებენ გეგმის გადაჭარბებით შრომის ნაყოფიერების გადიდებისა და პროდუქციის თვითღირებულების შემცირების ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებებს.

მონაცემები ცალკეული სამინისტროებისა და უწყებების საწარმოთა მიხედვით პროდუქციის რეალიზაციის გეგმის შესრულების, წარმოებისა და შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპის შესახებ მოგვყავს ქვემოთ:

საერთო-საკავშირო და საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტროები და უწყებები	პროდუქციის რეალიზაციის ცხრა თვის გეგმის შესრულება, პროცენტი	1984 წლის ცხრა თვე პროცენტობით 1983 წლის ცხრა თვესთან შედარებით: წარმოების მოცულობა	შრომის ნაყოფიერება
საერთო-საკავშირო სამინისტროების საწარმოები			
ენერგეტიკისა და ელექტროფიკაციის	100,3	105	105
ნავთობგადამამუშავებელი და ნავთობქიმიური მრეწველობის	98	88	90
გაზის მრეწველობის	95	109	108
ქვანახშირის მრეწველობის	104	99,1	100,3
შავი მეტალურგიის	102	103	100,2
ფერადი მეტალურგიის	101	105	104
ქიმიური მრეწველობის	96	105	105
მინერალური სასუქების წარმოების	91	96	97
მძიმე, ენერგეტიკული და სატრანსპორტო მანქანათმშენებლობის	105	105	115
ელექტროტექნიკური მრეწველობის	105	106	114
ჩარხსაშენებელი და საინსტრუმენტო მრეწველობის	95	110	111
ხელსაწყოთმშენებლობის, ავტომატიზაციის საშუალებათა და მართვის სისტემების	100,5	87	109
საავტომობილო მრეწველობის	102	101	95
სატრაქტორო და სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის	103	90	95
სამშენებლო, საგზაო და კომუნალური მანქანათმშენებლობის	101	104	104
მსუბუქი და კვების მრეწველობის მანქანათმშენებლობისა და საყოფაცხოვრებო ხელსაწყოთა	104	115	111
ხე-ტყის, ცელულოზა-ქაღალდისა და ხისდამმუშავებელი მრეწველობის	104	121	117
მსუბუქი მრეწველობის	104	108	107
კვების მრეწველობის	103	103	102
ხორცისა და რძის მრეწველობის	102	102	106
თევზის მეურნეობის	112	108	110
სამედიცინო მრეწველობის	102	107	100,4
გზათა	102	100,7	102
საკავშირო-რესპუბლიკური და რესპუბლიკური სამინისტროებისა და უწყებების საწარმოები			
ხე-ტყის და ხისდამმუშავებელი მრეწველობის	100,2	108	109
საშენ მასალათა მრეწველობის	100,6	104	105
კვების მრეწველობის	102	104	104
ღვინის მრეწველობის	103	103	99,4
ჩაის მრეწველობის	104	106	103
ხილბოსტნეულის მეურნეობის	103	119	114
ხორცისა და რძის მრეწველობის	106	108	107
დამზადების	111	107	105
მშენებლობის	99	103	104
სასოფლო მშენებლობის	99,3	108	106
ადგილობრივი მრეწველობის	100,7	106	105
საბინაო-კომუნალური მეურნეობა	101	104	101

შრომის ნაყოფიერების ზრდის გეგმა შეასრულეს რესპუბლიკის ყველა სამინისტრომ და უწყებამ და მეტმა წილმა საკავშირო დაქვემდებარების საწარმოებმა.

ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქისა და რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქების მიხედვით პროდუქციის რეალიზაციისა და ზრდის ტემპის გეგმის შესრულების მაჩვენებლებს ახასიათებს შემდეგი მონაცემები:

ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქისა და რესპუბლიკური დაქვემდებარების მრეწველობა	პროდუქციის რეალიზაციის ცხრა თვის გეგმის შესრულება, პროცენტი	1984 წლის ცხრა თვე პროცენტობით 1983 წლის ცხრა თვესთან შედარებით: წარმოების მოცულობა	შრომის ნაყოფიერება
აფხაზეთის ასსრ	103	107	106
აჭარის ასსრ	102	102	101
სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი	102	110	107
ქალაქები			
თბილისი	102	106	106

ახალი გაქანება პოლიტიკურ და ეკონომიკურ განათლებას

ახორციელებენ რა სკპ XXVI ყრილობის, სკპ ცენტრალური კომიტეტის 1983 წლის ივნისის პლენუმის მითითებებს, რესპუბლიკის პარტიულმა ორგანიზაციებმა პოლიტიკური და ეკონომიკური განათლების სისტემაში ახალი, 1984-85 სასწავლო წლისათვის მზადება გასული სასწავლო წლის დამთავრებისთანავე დაიწყეს. წლის შედეგების შეჯამებისას დაისახა შემდეგი ღონისძიებანი სწავლების შემდგომი გაუმჯობესებისა და მისი ეფექტიანობის გადიდებისათვის.

გაითვალისწინეს რა პროპაგანდისტთა კადრების გადამწყვეტი როლი სწავლებაში, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური განათლების რესპუბლიკურმა სახლმა, პარტიულმა ორგანიზაციებმა დიდი ყურადღება დაუთმეს მათ შერჩევას, მომზადებასა და გადამზადებას. ამ მიზნით რესპუბლიკის ...

... ორკვირიანმა კურსებმა ყველა ზონაში ორგანიზებულად, მაღალ იდეურ-პოლიტიკურ დონეზე ჩაიარა. ამასთან პარტიის თითქმის ყველა საქალაქო და რაიონულ კომიტეტში სასწავლო წლის დაწყების წინ მოეწყო პროპაგანდისტთა მოკლევადიანი გადასამზადებელი კურსები, რომლებზეც დამატებით სამი ათასამდე პროპაგანდისტი მომზადდა.

პარტიული პროპაგანდის შემოქმედებითი ძალების, მარქსისტულ-ლენინური განათლების სისტემაში ახალი სასწავლო წლისათვის მზადყოფნის ერთგვარი დათვალიერება გახდა რესპუბლიკაში 29 სექტემბერს მოწყობილი პროპაგანდისტის დღე. ამ დღეს პროპაგანდისტები შეხვდნენ პარტიისა და შრომის ვეტერანებს, ხუთწლედის გმირებს. მათ წინაშე გამოვიდნენ პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ხელმძღვანელები. ...

... ბი, მოხსენებები, მეთოდიკური და პოლიტიკური ლიტერატურის გამოფენები და სხვ. საქალაქო და რაიონულმა გაზეთებმა ფართოდ გააშუქეს ახალი სასწავლო წლისათვის მზადება და პროპაგანდისტული მუშაობის მოწინავე გამოცდილება. პროპაგანდისტებს დაურიგდათ პირველი მეცადინეობისათვის მოსამზადებლად მეთოდიკური მასალები, აგრეთვე მასალები რაიონში სოციალისტური შეჯიბრების მიმდინარეობისა და მისი შედეგების შესახებ, დიაგრამები, ცხრილები, თვალსაჩინოებანი და სხვ. ამ მხრივ ასევე ნაყოფიერად იმუშავეს თბილისის გლდანისა და ოქტომბრის, ქუთაისის, ზუგდიდის, სამტრედიის, გორის, საგარეჯოს, რუსთავის, ჭიათურის, ფოთის, თელავის, მახარაძის, ახალციხის, ახალქალაქისა და სხვა საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა.

... ორგანიზებულად, მაღალ იდეურ-პოლიტიკურ დონეზე ჩატარდა პირველი მეცადინეობანი თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალმშენებელი ქარხნის, სსრ კავშირის 50 წლისთავის სახელობის საწარმოო გაერთიანების, მადნეულის კომბინატის „საბჭოთა საქართველოს", სახელმწიფო უნივერსიტეტის, პოლიტექნიკური ინსტიტუტის, ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი და ელექტრომექანიკური ქარხნების, ზუგდიდის რაიონის განათლების განყოფილების, ავტოსარემონტო ქარხნის, ცხაკაიას ხალიჩების კომბინატის, ვეჯინის ჩაის საბჭოთა მეურნეობის, ლენინგორის № 1 სკოლა-ინტერნატის, ზესტაფონის № 3 საშუალო სკოლის, ჩხოროწყუს რაიონის ნაფიჩხოვის მარქსის და მუხურის რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობების პირველად პარტიულ ორგანიზაციებთან შექმნილ სკოლებსა და ...

...

ს. კიკნაძე,

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგის მოადგილე, პოლიტიკური განათლების რესპუბლიკური სახლის გამგე.

(საქინფორმი).

ხალხის გარჯის ნაყოფი

(დასასრული)

სოხუმი	103	109	109
ბათუმი	101	99,6	99
ცხინვალი	102	109	106
ქუთაისი	103	102	99,1
რუსთავი	98	103	101
ფოთი	108	109	109
გორი	102	93	95
ზუგდიდი	102	105	106
ჭიათურა	102	102	100,9
ტყიბული	104	104	104
გაგრა	100,9	96	97
წყალტუბო	103	115	110
ტყვარჩელი	108	94	91
მარნეული	102	123	110

1984 წლის 1 იანვრიდან რესპუბლიკის ტერიტორიაზე მდებარე ელექტროტექნიკური მრეწველობისა და მძიმე და სატრანსპორტო მანქანათმშენებლობის სამინისტროების საწარმოებში მიმდინარეობს დაგეგმვისა და სამეურნეო საქმიანობაში საწარმოო გაერთიანებების (საწარმოების) უფლებათა გაფართოებისა და მუშაობის შედეგებისათვის მათი პასუხისმგებლობის გაძლიერების ეკონომიკური ექსპერიმენტი. ეკონომიკურ ექსპერიმენტზე გადაყვანილი გაერთიანებებისა და საწარმოების საქმიანობის მაჩვენებლები გაუმჯობესდა. ამაღლდა სახელშეკრულებო ვალდებულებათა შესრულების დონე. მეტმა წილმა საწარმოებმა შეასრულეს მიწოდების ვალდებულებანი ...

უმნიშვნელოვანეს სახეობათა პროდუქციის წარმოებამ შეადგინა:

უმნიშვნელოვანეს სახეობათა პროდუქციის წარმოება	1984 წლის ცხრა თვეში წარმოებულია	1984 წლის ცხრა თვე პროცენტობით 1983 წლის ცხრა თვესთან შედარებით
ელექტროენერგია, მილიარდი კილოვატსაათი	11,7	106
მანგანუმის მადანი, ათასი ტონა	2129	106
ფოლადის მილები, ათასი ტონა	379	99,4
მინერალური სასუქები (მასაზრდოებელ ნივთიერებათა 100 პროცენტზე გადაანგარიშებით), ათასი ტონა	100,2	83
სინთეზური ფისები და პლასტიკური მასები (კაპროლაქტამი), ათასი ტონა	18,2	105
ქიმიური ბოჭკოები და ძაფი, ათასი ტონა	20,9	103
სინთეზური ამიაკი, ათასი ტონა	185	91
ცვლადი დენის ელექტროძრავები, ათასი კილოვატი	80,6	119
ლითონსაჭრელი ჩარხები, მილიონი მანეთისა	30,4	108
ხელსაწყოები, ავტომატიზაციის საშუალებანი და მათი სათადარიგო ნაწილები, მილიონი მანეთისა	24,4	109
გამოთვლითი ტექნიკის საშუალებანი და მათი სათადარიგო ნაწილები, მილიონი მანეთისა	29,8	83
დაბალი ძაბვის ელექტროაპარატურა, მილიონი მანეთისა	42,8	103
კვების, რძისა და თევზის მრეწველობის ტექნოლოგიური მოწყობილობა და მისი სათადარიგო ნაწილები, მილიონი მანეთისა	22,2	114
სასოფლო-სამეურნეო მანქანები, მილიონი მანეთისა	4,0	71
სამასალე მერქანი (კოლმეურნეობების მიერ ხე-ტყის დამზადების გარდა), ათასი ფესტმეტრი	130	100,9
ქაღალდი, ათასი ტონა	29,9	102
მერქანი — ბურბუშელის ფილები, ათასი პირობითი კუბური მეტრი	17,0	112
ანაწყობი რკინაბეტონი, ათასი კუბური მეტრი	1308	97
რბილი სახურავი მასალები და იზოლი, მილიონი კვადრატული მეტრი	72,4	114
შეკერილი ტანსაცმელი, მილიონი მანეთისა	380	110
ტრიკოტაჟის საცვლები და ზედა ტრიკოტაჟი, მილიონი ცალი	40,5	108
წინდები, მილიონი წყვილი	22,8	102
ტყავის ფეხსაცმელი, მილიონი წყვილი	11,9	102
ხორცი (სახელმწიფო რესურსების ნედლეულიდან), ათასი ტონა	65,2	108
ძეხვეული, ათასი ტონა	26,1	105
სასურსათო თევზის პროდუქცია, მათ შორის თევზის კონსერვები, მილიონი მანეთისა	47,9	113
ერბო-კარაქი (სახელმწიფო რესურსების ნედლეულიდან) ტონა	933	92
მოუხდელი რძის პროდუქცია რძეზე გადაანგარიშებით (სახელმწიფო რესურსების ნედლეულიდან), ათასი ტონა	152	104
მარგარინის პროდუქცია (სახელმწიფო რესურსების ნედლეულიდან), ათასი ტონა	23,8	89
მცენარეული ზეთი (სახელმწიფო რესურსების ნედლეულიდან), ათასი ტონა	6,5	94
საკონდიტრო ნაწარმი, ათასი ტონა	43,7	103
კონსერვები, მილიონი პირობითი ქილა	432	99,9
მათ შორის ხილბოსტნეულისა	420	99,8
ნატურალური, ხარისხოვანი, დაფასოებული ჩაი, ათასი ტონა	63,6	108
ყურძნის ღვინო, მილიონი დეკალიტრი	16,8	92
შამპანური, მილიონი ბოთლი	16,3	106
მინერალური წყლები, მილიონი ნახევარი ლიტრი	318	115
სორტული პურპილი (მინისა და ბროლის), მილიონი მანეთისა	14,1	87
ფერადი გამოსახულების ტელევიზორები, ათასი ცალი	9,4	160
ავეჯი, მილიონი მანეთისა	105	109

შესრულდა ქვანახშირის, მანგანუმის მადნის მოპოვების, ფოლადის, კაპროლაქტამის, ცვლადი დენის ელექტროძრავების, მაგისტრალური ელმავლების, გამოთვლითი ტექნიკის საშუალებებისა და მათი სათადარიგო ნაწილების, ელექტრომესადლე მოწყობილობის, სასოფლო-სამეურნეო მანქანების, კვების, რძისა და თევზის მრეწველობის ტექნოლოგიური მოწყობილობისა და მისი სათადარიგო ნაწილების, ქაღალდის და მთელ რიგ სხვა სახეობათა პროდუქციის წარმოების გეგმა.

მიღწეულია სახალხო მოხმარების მეტი წილი საქონლის: ბამბისა ...

საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო

ტით შეასრულეს; წლის დამდეგიდან ქარხანაში ხელის ჩაის საკრეფი მანქანა გეგმით გათვალისწინებული ოთხი ათასის ნაცვლად 4.704 ცალი დამზადდა, 508 ათასი მანეთის სასოფლო-სამეურნეო მანქანების სათადარიგო ნაწილების ნაცვლად კი მომხმარებელმა 522 ათასი მანეთის ნაწარმი მიიღო.

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო მანქანათსაშენებელი ქარხანა რესპუბლიკაში ერთ-ერთი მოწინავე საწარმოა. აქაურმა მშრომელებმა პროდუქციის გამოშვების ცხრა თვის გეგმა 104,8 პროცენტით, ხოლო რეალიზაციისა 105,4 პროცენ-

● ●

სურათებზე: მცირე მექანიზაციის საამწყობო საამქროს მოწინავე ამწყობი შენკელო გორგო გვალია; საწარმოს მიერ გამოშვებული ხელის ჩაის საკრეფი მანქანა და ჩაის სახელავი აპარატი.

თ. ნიკოლაიშვილის ფოტო.

ჩვენი სასოფლო-სამეურნეო მიმოხილვა

ფერმა, საკვები, დროის დეფიციტი

დროის დეფიციტი ახლა სოფლის ყველა მშრომელს სიმძიმეს ყოველი საათი სათვალავში იქონიოს. ამ მხრივ უფრო რთულ ვითარებაში მუშაობენ საკვებდამამზადებლები, რადგან ზოგიერთ ზოლაზე ვეგეტაცია შეწყვეტა. ეს გარემოება თავის დროზე გაითვალისწინეს და ფერმებისათვის საკვების მომარაგება შემოდგომის ბოლოსთვის არ გადადეს ასპინძისა და ზესტაფონის რაიონების საზოგადოებრივმა მეურნეობებმა. მათ საგეგმოზე მეტი აქვთ თივა, ნამჯა და სილოსი.

მართალია, შარშანდელზე მეტი თივა, ნამჯა და სილოსი დაამზადეს აბაშის, ახალქალაქის, ახალციხის, ბოგდანოვკის, ბოლნისის, ზუგდიდის, ქარელის, კასპის, მცხეთის, სამტრედიის და სხვა რაიონების მეურნეობებმა, მაგრამ მათ ზოგიერთი საკვების დამზადების გეგმა ჯერ კიდევ არა აქვთ რეალიზებული. მაგალითად, ბოლნისის რაიონში თივა საგე-

გმოს მხოლოდ 50 პროცენტია მომარაგებული, ქარელის რაიონში კი სილოსი გეგმის მხოლოდ 55 პროცენტია ჩადებული. ზუგდიდელებს ნამჯის დამზადების გეგმა 10 პროცენტით აქვთ შესრულებული.

თივა საგეგმოს ნახევარიც არ არის დამზადებული ლაგოდეხის, მარნეულის რაიონებში. ნამჯის მომარაგებაში ამ დონეზეც არ არიან აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკების, აბაშის, ამბროლაურის, ვანის, ლანჩხუთის, სახჩერის, წალენჯიხის, წყალტუბოს, ჩხოროწყუს რაიონები.

სილოსის ჩადება მეტისმეტად ჭიანურდება სამხრეთ ოსეთის, ამბროლაურის, გორის, დუშეთის, ლაგოდეხის, მარნეულის, სიღნაღის, თიანეთის რაიონებში.

საკვებდამამზადებლებმა ახლა მთელი ძალ-ღონით უნდა იშრომონ, რათა ფერმას აუცილებლად ჰქონდეს საკმარისი საკვები.

დაჯილდოება

საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით

პარტიულ და სამეურნეო ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების ორმოცდაათი წლისთავთან დაკავშირებით კასპის რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანების თავმჯდომარე, კასპის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ამხ. ტრისტან ილიას ძე ხუციშვილი დაჯილდოვდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

სადღეისო თემაზე

მდინარეებმა არ გაგვანებივრეს, მაგრამ...

„კომუნისტი" ეძიებს რეზერვებს

მეტად საგულისხმოა საქართველოს ენერგეტიკოსთა მიღწევები მიმდინარე წლის ცხრა თვეში. ისინი, როგორც ყოველთვის, არ თმობენ თავიანთ პოზიციებს და მხოლოდ მოწინავეთა რიგებში არიან.

ზემოხსენებულ პერიოდში, მიუხედავად იმისა, რომ ხელსაყრელი არ იყო ჰიდროენერგორესურსების კონიუნქტურა, წარმოების მოცულობის ზრდის ტემპმა საგრძნობლად გადააჭარბა საშუალო რესპუბლიკურს და 106,4 პროცენტი შეადგინა. როცა არახელსაყრელ კონიუნქტურაზე ვლაპარაკობთ, ვგულისხმობთ იმ ფაქტს, რომ ...

... ისე წლის მაჩვენებლების მიხედვით შენარჩუნებული იქნება, და ეს მისასალმებელია.

რახან წარმოების მოცულობის ზრდის ტემპს შევეხე, იმასაც აღვნიშნავ, რომ ენერგეტიკოსები სხვა ყველა დანარჩენ ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლის მიხედვითაც ძალზე შესამჩნევ შედეგებს აღწევენ. თუნდაც ის, რომ თბილისის თბოელექტროსადგურში კილოვატსაათი ენერგიის გამომუშავებაზე ხუთი გრამით ნაკლები სათბობი იხარჯება, და ამით ...

... რის ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის სამინისტროს 12 სპეციალიზებული ორგანიზაცია მონაწილეობს, მიმდინარეობს გრაფიკის სრული დაცვით. სამუშაოთა პროგრამის ორმოცი პროცენტი ხორციელდება „საქმთავარენერგოს" ძალებით.

როგორც ხედავთ, ჩვენი ენერგოსისტემის წამყვან ბაზად მაინც თბილისის თბოელექტროსადგური რჩება და მეტად მნიშვნელოვანი ფაქტორია ის, რომ იგი კარგად მომარაგდა მაზუთით, ...

... წილი ქალაქ თბილისს მოხმარდება, იმ ობიექტებიდან კი, რომლებზეც განსაკუთრებით დიდი მოცულობის სამუშაოები სრულდება, აღსანიშნავია სისტემათაშორისი ელექტროგადამცემი ხაზი ენგურჰესი-კრასნოდარენერგო. იგი მალე გადაეცემა საექსპლოატაციოდ. სოფლის მეურნეობას ელექტროენერგიით უკეთ მომარაგებისათვის აშენდება და რეკონსტრუირებული იქნება 1970 კილომეტრამდე სიგრძის ქსელი და სხვა.

ზემოაღნიშნულ პერიოდში დიდი ყურადღება დაეთმო ელექტროენერგიის რაციონალურ გამოყენებას ...

...

ზ. ააკუაძე.

შენ ღირსი ხარ ამ ბედნიერებისა, თბილისო!

(დასასრული)

თითოეული ჩვენგანის ხსოვნაში აღიბეჭდა 1982 წლის ოქტომბრის ისტორიული დღეები, მაღალი შეფასება, რომელიც [illegible] თბილისსა და მის მცხოვრებლებს მისცა ძვირფასმა საპატიო სტუმარმა კონსტანტინე უსტინის ძე ჩერნენკომ. „თბილისი გულდაჯერებით მიდის აღმავალი გზით... მტკვრისპირა მშვენიერი სოციალისტური ქალაქი წლითიწლობით ლამაზდება, უფრო მიმზიდველი, უფრო მოხერხებული ხდება ყველა ქალაქელისათვის".

„თბილისობა" ხვალინდელი დღისადმი მიმსწრაფი დღესასწაულიცაა. მაშ ვემზადოთ ამ დღისათვის, ახალი მიღწევებისათვის, ახალი გამარჯვებებისათვის. მოდით, შევეჯიბროთ ერთმანეთს და მხარი ვუსწოროთ იმათ, ვინც გამოირჩევა შრომის სიყვარულით, მაღალი შეგნებითა და სამშობლოს უსაზღვრო ერთგულებით.

დღესასწაულის მონაწილენი სუნთქვაშეკრული ელიან, ვის სახელებს გამოაცხადებენ ამჯერად და მხურვალედ უკრავენ ტაშს თანამოქალაქეებს, რომლებმაც მოიპოვეს დიდი პატივი იწოდებოდნენ თბილისის საპატიო მოქალაქეებად.

შემაღლების მახლობლად, სადაც ისინი ადიან, რესტავრატორებმა აღმოაჩინეს და დააკონსერვეს ნაალაყაფარი, სადაც ოდესღაც მდებარეობდა ქალაქის ექვსიდან ერთი კარიბჭე —აბანოს კარი. თავდაპირველი სახით ეს კარიბჭე არ შემონახულა. მაგრამ იგი არსებობს, იგი ფართოდ იღება ყოველ წელს და გვანიჭებს საოცარ აღმოჩენათა სიხარულს. ამ აღმოჩენებს ბევრად უნდა ვუმადლოდეთ **ირაკლი ციციშვილს**, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორს, მეცნიერების დამსახურებულ მოღვაწეს, საბჭოთა კავშირის გმირს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლთა დაცვისა და გამოყენების მთავარი სამეცნიერო-საწარმოო სამმართველოს კოლექტივს, რომელსაც იგი ხელმძღვანელობს.

რა დიდი ბედნიერებაა მიიღო ასეთი ჯილდო სწორედ იმ საქმის გამარჯვების ჟამს, რომელსაც ემსახურება, მის ქმნილებათა გარემოცვაში, ნარიყალის კედლებთან, რომლებსაც ეს საქმე ახალ სიცოცხლეს შთაბერავს.

ალალმართლად ემსახურება ქალაქს, რესპუბლიკას თბილისის ინტერნაციონალური მუშათა კლასი. მისი ერთ-ერთი სახელოვანი წარმომადგენელი, სოციალისტური შრომის გმირი **ვახტანგ ბოროდავკაც** აირჩიეს დღეს საპატიო მოქალაქედ. ყუბანის სტანიცის მკვიდრი, ომის ქარცეცხლიანი გზებით ნავალი, ფოლად-თუჯსამსხმელო ქარხნის შემოდნელი სამართლიანად თვლის თავს თბილისელად, რამეთუ თითქმის 40 წელია თავისი შრომით ამრავლებს ქალაქის დიდებას. სხვებსაც ამას ასწავლის. დღეს მის მხარდამხარ შრომობენ მისი ვაჟები, ათობით ოსტატი, რომლებიც ამ შესანიშნავმა კაცმა და დამრიგებელმა აღზარდა.

ქალაქი შემოქმედი, ქალაქი მხატვარი, ცხოვრების მრავალნოვან მხოტბეთა აღიარებული პარნასი — ქართველ პოეტთა რა ბრწყინვალე პლეადა აღუზრდია მას! და რამდენი რამ მიუღია მათგან. მათ, შთაგონებულ ლირიკოსებს, რომანტიკოსებს, მოქალაქეობრიობის ტრიბუნებს უნდა უმადლოდეს თბილისი პოეზიის, რაინდობის, მშრომელი კაცისა და მისი ამაგის წინაშე მოწიწების განსაკუთრებულ სულისკვეთებას, რომელიც ასულდგმულებს ყველას, ვინც თბილისმა მოაჯადოვა.

პირველ რიგშია **გრიგოლ აბაშიძე** — პოეტი და რომანისტი, ისტორიის ღრმა მცოდნე და თანამედროვეობის მეხოტბე. იგი ზედმიწევნით გამოხატავს ჩვენს ფიქრებსა და მისწრაფებებს: „ძალითაც რომ დაგიხუჭონ, გაახილე თვალი, სიყვარულით გადახედე მთელი ქვეყნის ვალი"...

მივსდიოთ ამ რჩევას — ცხოვრების განუმეორებლობა ყოველ ადამიანს ავალებს ბოლომდე მოიხადოს თავისი ვალი.

გიორგი დანელია... ალბათ მხოლოდ თბილისში აღზრდილ კაცს შეეძლო გადაეღო „არ დაიდარდო" და „მიმინო". და ალბათ, მხოლოდ ამ ქალაქის შვილს, რომელიც სიყრმიდანვე გვასწავლის ეცნობოდეთ ადამიანის სულს, მის ტკივილსა და სიხარულს, უცხო ენებსა და კილოებს, შეეძლო გადაეღო ისეთი ჟღერადობის ფილმები, როგორიცაა „დავაბიჯებ მოსკოვის ქუჩებში", „ნავმისადგომის გზა", „ცრემლი სდიოდა", „შემოდგომის მარათონი"...

— დამიჯერეთ, — გვითხრა მან, — თბილისის საპატიო მოქალაქის წოდებას უმაღლეს ჯილდოდ მივიჩნევ. განა შემეძლო მრავალი წლის წინათ, როცა ფეხშიშველი ბიჭი მის ქვაფენილებზე დავაბიჯებდი, წარმომედგინა, რომ წილად მხვდებოდა ასეთი პატივი?

დგება საზეიმო წუთი. ამხ. გ. გაბუნია თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარესთან — ზ. მესხიშვილთან ერთად ქალაქის საპატიო მოქალაქეებს მაღალი წარჩინების ნიშნებს გადასცემს.

ორბელიანთა აბანოს ფასადის დარად მრავალფეროვნად აელვარებული წარმოდგენა, ამ უბნის ტრადიციაა. მისი ტრადიციაა თბილისის ყველაზე ცხელ კუთხეში მზით გახურებულ ქუჩაზე ნელი ნაბიჯით მიმავალი აქლემები. მისი ტრადიციაა მრავალენოვანი სიმღერები, ხალხებისა და კულტურების შეხვედრები, ამჯერად ქართული ხელოვნების ვარსკვლავებთან ერთად, რუსეთის ფედერაციის, მოლდავეთის, სხვა რესპუბლიკების შემოქმედებითი კოლექტივების მიერ წარმოდგენილი. მისი ტრადიციაა სიმღერები აივნებზე და ცეკვები ესტრადასთან მიჯრით მიწყობილი სახლების ბანებზე.

ყოველივე ეს ხდებოდა აბანოთუბანში გამართულ დღესასწაულზე. დღესასწაული ვერ ეტეოდა ქუჩებში და სახლებში იჭრებოდა.

ასი წლის შემდეგ, რაც ნარიყალას ძირში დასახლდა ხელოსანი მინა გოგოლაშვილი, მისმა შთამომავლებმა, რომლებსაც არ მიუტოვებიათ მამისეული სახლი, ისევ იზეიმეს ახალმოსახლეობა.

— დიახ, ეს ახალმოსახლეობაა, — იღიმებიან მშენებელი ზურაბ გოგოლაშვილი და მისი მეუღლე ჯილდა, თბილისის ერთ-ერთი პოლიკლინიკის სამკურნალო ფიზკულტურის მეთოდისტი. — ჩვენი სახლი საოცრად შეიცვალა: ცხელი და ცივი წყალი, ცენტრალური გათბობა, თანამედროვე მოხერხებები. და ყველაფერთან ერთად გაუმჯობესდა დაგეგმარება.

აღორძინებული ქუჩის მცხოვრებლები გულითადად გვეპატიჟებიან თავიანთ განახლებულ ბინებში. მაგრამ გაჩერება შეუძლებელია: დღესასწაული გრძელდება.

სიხარულის მისამართებით

მთები გზას უთმობენ ახალმშენებლობებს

ზეიმის წინ შესამჩნევად მოემატა სამუშაო მუხიანის საბინაო-საექსპლოატაციო სამმართველოს პასპორტებს. მიზეზი ნათელია: მასივის მშენებლებმა „თბილისობა-84" იმით აღნიშნეს, რომ ათობით ახალი ბინა ჩააბარეს. ხოლო რესპუბლიკის დედაქალაქის წინა დღესასწაულის შემდეგ გასული მთელი წლის განმავლობაში, შის ამ ახალ, სწრაფად მზარდ ნაწილში აღიმართა კიდევ ოცდაათი მრავალსართულიანი კორპუსი, რომლებშიც ჩასახლდა დაახლოებით სამი ათასი ოჯახი.

ერთ-ერთი მათგანია დიდი სამამულო ომის ვეტერანის ი. ბასილაშვილის ოჯახი. ივანე ბასილაშვილი მტერს ებრძოდა ოდესასთან, იცავდა კავკასიას, სტალინგრადს, ათავისუფლებდა პრაღას. მისმა ოჯახმა ახლახან იზეიმა ოთხოთახიანი ბინის მიღება. მასთან ერთად მუხიანში საბინაო პირობები გაიუმჯობესა ასზე მეტმა ფრონტელმა.

დავასახელოთ სიხარულის სხვა მისამართები.

